ხოჯა ქალების ინსტიტუტი და ქალის სასულიერო წინამძღოლობის ანალიზი აჭარაში

ნანა ზუმბულიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე რელიგიის

კველევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

რელიგიის კვლევები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მალხაზ სონღულაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნანა ზუმბულიძე

21.06.2021

აბსტრაქტი

ნაშრომის მთავარი თემაა აჭარაში მუსლიმი თემის ხედვა ქალის როლთან მიმართებაში, როგორც საზოგადოებაში, ასევე რელიგიაში. კვლევის მიზანია, დაადგინოს მუსლიმი ქალების შეხედულებები ქალის როლისადმი აჭარაში. რამდენად საერთო ან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ქალის მიერ რელიგიურ რიტუალების შესრულების მნიშვნელობაზე აჭარაში და მისი შედარება მარნეულის და პანკისის რეგიონებში.

კვლევის მთავარი სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ქალები, რომლებიც ასრულებენ კონკრეტულ რელიგიურ რიტუალს ისლამის მიხედვით. რიტუალს ასრულებენ ხოჯა ქალები და მათ წინამძღოლობს ასევე ქალი. ნაშრომში განხილული იქნება, ისლამური სწავლება საქართველოში, აჭარაში ქალის როლთან დაკავშირებით, ქალების მიერ თავსაფრის ტარების შესახებ სწავლება ისლამის მიხედვით და მისი პრაქტიკული გამოვლინების შესახებ აჭარის რეგიონში, ასევე ქალის ჩართულობის მნიშვნელობა საჯარო სივრცეში და რელიგიურ რიტუალებში. მარნეულსა და პანკისში ქალის ჩართულობის მნიშვნელობა რელიგიურ რიტუალებში და მათი შედარებითი ანალიზი აჭარის რეგიონთან მიმართებაში.

იმისთვის, რომ უფრო ნათელი იყოს საქართველოში მუსლიმი თემის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი, კვლევაში განხილული იქნება ისლამური სწავლების პრაქტიკა საქართველოში, როგორც შიიტური, ასევე სუნიტური თემიდან. ასევე, კოკნრეტული რიტუალის (განბანვის რიტუალის) შემსრულებელი ქალების შეხედულებები საკითხთან დაკავშირებით.

ქალის როლზე საუბრისას საინტერესო იქნება ზოგადად, ადრეულ ეტაპზე ისლამში ჯიჰადის მნიშვნელობის გაანალიზება. რადგან, მნიშვნელოვანია იმის ნახვა, რა როლი ჰქონდა ქალს ისლამის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე, რაც შემდგომ ერთგვარ

მაგალითებად იქცა მუსლიმი ქალებისთვის. მათი ჩართულობის შესაძლებლობა ჯიჰადში და ასევე ვისაუბრებთ ქალებზე, რომლებიც მუჰამედ შუამავალთან ერთად იბრძოდნენ ჯიჰადის ფიზიკური ბრძოლით გამოვლინების დროს.

ნაშრომის პირველი ნაწილი ეთმობა იმ ძირითადი კონცეპტების მიმოხილვას, რომლის შუქზეც მოხდა კვლევის გაანალიზება. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა ემპირიულ კვლევას და კვლევის შედეგად მივღეული შედეგების ანალიზს.

საკვანძო სიტყვები: ხოჯა ქალები, რელიგია, რიტუალი, მუსლიმი თემი საქართველოში.

Abstract

The main goal of the article is to represent how the Georgian Muslim community see the role of the women in the society and in the religion. The research aims to detect the attitudes of the muslim religion leaders towards the role of the women. Furthermore, it aims to clearly show how much are the religious leaders and women opinions framed under the influence of the patriarchal culture. The main research groups are the muslim leaders of Adjara Region and Khoja women, who perform the religious ritual according to Hadith, which are one of the most important religion books in Islam, it is ritual for washing the deceased body. The research also includes interviews from muslims who are living different regions in Georgia and their practice towards the ritual. achieve the research goals, the following scientific methods were used: observation, interviews. Research topics are the following ones: gender equality, the active engagement of women in public and religion life, Khoja women institute in Adjara region.

To be shown more obviously the attitude of the Georgian Muslim leadres and Khoja women towards the role of the women in religion, there are interviews from both, Leaders and Khoja women. These interviews are about the same topic and in the article is shown how they see the importance of performing ritual by Khoja women.

The main part of the article is all about the research analysis. There are spaciously examined the each of the topic. These topics give us possibility to discuss on the large scale what is the exact role of the women in the Georgian society according to Georgian Muslim community.

Key words: Khoja women, Religion, Rituals, Muslims community in Georgia.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ბატონ მალხაზ სონღულაშვილს საკვლევი თემატიკის შერჩევისთვის; წერის პროცესში მიღებული პროფესიული დახმარებისა და რჩევებისთვის. მადლობას ვუხდი კვლევის მონაწილეებს და ხელშემწყობ პირებს კვლევის ჩატარებისა და ნაშრომის მომზადებაში მათი წვლილისთვის.